

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 151 (13545) | კვირა, 3 ივლისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

სანიმუშოდ მოვემსახურეთ ადამიანებს

საყოფაცხოვრებო სამსახური! რა დიდ როლს ასრულებს იგი ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ სამსახურის მუშაკები რაც შეიძლება სრულად აკმაყოფილებდნენ მის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს, შეეძლოთ სახელმწიფოებრივად მზრუდგნენ, ყოველ ერთი შესედვით, პატარა თხოვნას. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის შრომისუნარიანობა, სიხალისე, იზოგება ძვირფასი დრო.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იქმნება მომსახურების სფეროს გაფართოების პირობები. ამ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა საყოფაცხოვრებო სამსახურის მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, მისი ორგანიზაციის სრულყოფისათვის.

ყოფაცხოვრების სამსახური სახალხო მეურნეობის თანამედროვე მექანიზებული დარგი ხდება. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების თანახმად საყოფაცხოვრებო სამსახურის მოცულობა 1970 წლისათვის დაახლოებით 2,5-ჯერ უნდა გადიდდეს, ამასთან სოფლად ერთისამად და მეტად.

„კომუნისტის“ სარედაქციო ფოსტაში სულ უფროო ხშირად ვხვდებით წერილებს საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალ ფორმათა და სახეობათა შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის 24 სასოფლო რაონში გაჩნდა ავტომანქანაზე მოწყობილი მოძრავი სახელოსნონი, რომლებიც კერძილ სამსახურს უწევენ იმ სოფლებს, სადაც არ არის შემკეთებელი სახელოსნოები. მოსახლეობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა კეთილმომსახურების ბიუროების დაარსებას. რომელთა დახმარებით შეუძლია მრავალი სახის მომსახურება მიიღოს. ამეამად რესპუბლიკაში შუშაობს 13 ასეთი ბიური.

მოსახლეობა მომსახურებით ყოველმხრივ კმაყოფილი რომ იყოს, ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა დარგის თანაბარ განვითარებას, არ უნდა დაეუშვათ მომსახურების არც ერთი სახის ჩამორჩენა.

ამ მხრივ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს ხაზით ხორციელდება მთელი რიგი ორგანიზაციულ-პრაქტიკული ღონისძიებები.

1966-1968 წლებში გათვალისწინებულია აშენდეს ქიმიური წმენდისა და რეცვნის 18 ფაბრიკა, რომლებსაც ექნება ქალაქებიდან და რაიონული ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებსა და დასახლებულ ადგილებში მიმღები პუნქტები.

ადამიანის ნორმალური ჰიგიენური პირობების დაცვისათვის მომსახურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს კეთილმოწყობილი აბანო-სამრეცხაოები. ამ მიმართულებით რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ეს საკმაო არ არის. გათვალისწინებულია უახლოეს პერიოდში მთელ რიგ რაიონებში. განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში აშენდეს საკმარისი გამტარუნარიანობის აბანო-სამრეცხაოები, მოეწყოს სათანადო საწარმო-სახელოსნოები.

რესპუბლიკის იმ რაიონებში, სადაც პარტიის რაიონული კომიტეტები და რაიონსაბჭოების აღმასკომები მზრუნველობას არ აკლებენ ხალხის საყოფაცხოვრებო მომსახურებას, დაინტერესებული არიან იმით, რომ მშრომელები მაღალნაყოფიერად მუშაობდნენ. ჰქონდეთ კარგი საყოფაცხოვრებო პირობები, ცხადია, გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. ამ მხრივ გამოირჩევიან გორის, სიღნაღის, ცხაკაიას, ნოთალწყაროს და მთელი რიგი სხვა რაიონები. ისინი ფარავენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს თავიანთი სახსრებით ააგონ საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის სათანადო შენობები.

მაგრამ ასე როდია ყველგან. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში პარტიის რაიონული კომიტეტებისა და რაისაბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან ხალხის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეს, ხალრს დახმარებას უწევენ სამმართველოებს ობიექტების ქსელის გასაფართოებლად და კეთილმოსაწყობად. სწორედ ამის შედეგია ის, რომ საქართველოს ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობები მოკლებული არიან საყოფაცხოვრებო მომსახურებას. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის 51 კოლმეურნეობიდან საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი მხოლოდ 4 კოლმეურნეობაშია გახსნილი. გულრიფშის რაიონში, სადაც 42 კოლმეურნეობა და ხაბჭოთა მეურნეობაა. მხოლოდ ერთი ამანო არსებობს. ასეთივე მდგომარეობაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში.

ვხვდებით უარეს ფაქტებსაც. პარტიის გარდაბნის რაიონულმა კომიტეტმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ყურად არ იღეს მთავარი სამმართველოს თხოვნა იმის შესახებ, რომ წყნეთში საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონის ასაგებად გამოეყოთ შესაფერი ადგილი. ამ საკითხის მოგვარება თვეობით გაჭიანურეს. შემდეგ მთავარი სამმართველო იძულებული გახდა თვითნებურად დაენგრია ძველი საპარიკმახეროს შენობა და იქ დაეწყო პავილიონის მშენებლობა. ცხადია, ხალხის მომსახურების ღონისძიების განხორციელებისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოვლად შეუწყნარებელია.

იმის გამო, რომ დღემდე საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობას მარტიის მთელი რიგი რაიკომები და რაისაბჭოების აღმასკომები უურადღებად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

მიწები ხალხის სამსახურში

ავამაღლოთ მელიორაციის კულტურა

პარტია და მთავრობა დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის სულ უფრო ასამაღლებლად. ამ ღონისძიებებს შორის დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებას მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ.

პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოების ამოცანა ის არის, — ნათქვამია პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებაში, — რომ მოაწყონ და სათავეში ჩაუდგნენ საყოველთაო ბრძოლას მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროდუქტიულობის გადიდებისათვის, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში თვითეულ ჰექტარზე უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ დიდ სამელიორაციო სამუშაოებს ჩვენს რესპუბლიკაში. კერძოდ, კოლხიდის დაბლობის დაშრობით სამუშაოთა განხორციელების შემდეგ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამსახურში ჩადგება 90 ათასი ჰექტარი ნაყოფიერი მიწა.

გალის რაიონი — ყოფილი სამურზაყანოს მაზრა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მიყრუებულ, ეკონომიურად ჩამორჩენილ კუთხეს წარმოადგენდა. თავისი ბუნებრივი პირობებით რაიონის ტერიტორია სუბტროპიკულ ზონას მიეკუთვნება. მარცვლეული, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების გასაშენებლად რაიონში საუკეთესო მიწებია. მაგრამ ამ ფართობების ინტენსიურად გამოყენებას ხელს უშლიდა დაჭაობება და მდინარეების რეჟიმის მოუწესრიგებლობა. ამიტომ მიწების ეს ოქროს ფონდი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისათვის საუკუნეების მანძილზე გამოუყენებელი რჩებოდა. რაიონის მოსახლეობა წლითიწლობით ძირითადი საკვები კულტურის—სიმინდის უმნიშვნელო მოსავალს იღებდა. მძვინვარებდა მალარია.

საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელი ხალხი მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონი გახადა და პირველი წლებიდანვე შეუდგა მიწის გარდაქმნას. ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში, ჩვენი ქვეყნის კოლექტივიზაციის დასაწყისში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით გადაწყდა დაწყებულიყო კოლხიდის დაბლობის დაჭაობებული ფართობების დაშრობა, რათა ეს ნაყოფიერი მიწები ჩაგვეყენებინა ხალხის სამსახურში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში კოლხიდის დაბლობში ამოშრობილ იქნა 66 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი, აქედან გალის რაიონში — 17.580 ჰექტარი. შეიქმნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები — ანაგის, სიდის, გალის, მზიურის, ხუმუშკურის, კოხორის საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე გინდა ეფთრის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა.

ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს ჩაის კულტურას, რომელიც მთელი შემოსავლის 85 პროცენტს გვაძლევს. საკმარისია აღინიშნოს, რომ შარშან რაიონის კოლმეურნეობებში ჩაის კულტურით მიღებული იქნა 10 მილიონამდე მანეთი შემოსავალი.

ახალ ხუთწლედში რაიონის მეჩაიეები კიდევ უფრო დიდი ამოცანების წინაშე დგანან: ნელს სამშობლოს უნდა მიეცეთ 17.575 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, ანუ თითქმის 4 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან ფაქტიურად იყო მოკრეფილი, ხოლო ხუთწლედის დასასრულისათვის ჩაის ფოთლის ყოველწლიურმა დამზადებამ უნდა მიაღწიოს 23.500 ტონას, რაც თითქმის 10 ათასი ტონით მეტია შარშანდელ მაჩვენებლებზე.

ეს დიდი ზრდაა, და ამას რომ მივაღწიოთ, საჭიროა განხორციელდეს მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებანი. კერძოდ, ნესრიგში უნდა მოვიყვანოთ დამშრობი ქსელი. ამ საქმეში კი ჩვენთან ყველაფერი რიგზე ვერ არის. რაიონში დაშრობილი 17.580 ჰექტარიდან ჯერჯერობით გამოყენებული არ არის თითქმის ნახევარი — 8.120 ჰექტარი. იგი დაფარულია ტყე-ბუჩქარითა და ეკალბარდით. ეს გამოწვეა იმან, რომ წლების მანძილზე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა დამშრობი ქსელის მოვლას, ადგილი ჰქონდა გაუპიროვნებას, არხების გაწმენდის სამუშაოები კამპანიურ ხასიათს ატარებდა. ამ საკითხზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა.

პარტიის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი, სოფლის მეურნეობის სამმართველო საჭირო ზომებს იღებენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. გათვალისწინებული გვაქვს დაბალი ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შევქმნათ სპეციალური ბრიგადები და რგოლები. ისინი მოემსახურებიან მხოლოდ დამშრობი სისტემის წესრიგში მოყვანას. ეს დიდად შეუწყობს ხელს დაშრობილი მიწების უკეთ ათვისებისა და გამოყენების საქმეს. ამასთან ერთად მელიორატორებს უნდა შევუქმნათ მუშაობის ნორმალური პირობები, გავადიდოთ მათი მატერიალური დაინტერესება. ამ საკითხების გადაჭრაში დიდია საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების როლი. ისინი სათავეში უნდა ჩაუდგნენ ამ საშვილიშვილო საქმეს.

გარდა ამისა, საჭიროა რეკონსტრუქცია გაუკეთდეს დამშრობ ქსელს. მაგისტრალურ არხებს შორის დამატებით გაყვანილ უნდა იქნას დამშრობი არხები. ამ ღონისძიებათა განხორციელებას მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე მნიშვნელოვანი ყურადღება იქნა გამახვილებული მორწყვითი სამუშაოების სწორად ჩატარებისა და სარწყავი სისტემების მაქსიმალურად გამოყენების აუცილებლობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რაიონი ძირითადად მიეკუთვნება ჭარბტენიანი მიწების ზონას, რაიონში არის ფართობები, სადაც გვალვის პირობებში აუცილებელია ჩაის პლანტაციების მორწყვა, რაც საგრძნობლად გაადიდებს ჩაის ფოთლის მოსავლიანობას. სტაციონარული მორწყვითი სამუშაოები მოწყობილი გვაქვს აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. აქ ეს სამუშაო 259 ჰექტარზე წარმოებს და თავისი ნაყოფიერი გავლენა გვიჩვენა გასული წლის გვალვიან ზაფხულში.

მორწყვითი სისტემა დანერგილია უდანოვის და კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში, აგრეთვე კოლმეურნეობებში — „ჯუბერხინჯსა“ და „სალხინოში“. აღნიშნულ კოლმეურნეობებში სარწყავი ფართობი 690 ჰექტარს შეადგენს. ახალ ხუთწლედში რწყვის სამუშაოები დამატებით მოეწყობა 1.000 ჰექტარზე. მათ შორის სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მოსარწყავად მომზადდება 700 ჰექტარი პლანტაცია, ხოლო გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში — 200 ჰექტარი.

უდიდესი სამუშაოები განხორციელდება მომავალ ხუთწლედში რაიონის დაუშრობელ მიწებზე. ახეთი მიწები კი 18 ათას ჰექტარს აღემატება. გათვალისწინებულია 1970 წლისათვის დაშრობილ იქნას 15 ათასი ჰექტარი ნაყოფიერი მიწები.

მარტო ხუმუშქურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ბაობების დაშრობისათვის ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია 1.812 ათასი მანეთი, აქედან წელს დაიხარჯება 490 ათასი მანეთი და დაშრობილ იქნება 1.175 ჰექტარი მიწა.

ხუთწლედის პირველ წელს დაშრობილ იქნება ჭარბტენიანი ნიადაგის მქონე კოლმეურნეობებში (განახლების XX პარტყრილობის და კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობები, ოტობაიის კოლმეურნეობა „მშრომელი გლეხი“) 380 ჰექტარი მიწა. ამისათვის შესრულდება 43 ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაო. ტყე-ბუჩქარისაგან ამოძირკვება 10 ჰექტარი ფართობი. აშენდება 20 მილხიდი და სამი კილომეტრი გზა.

ცნობილია, რომ სარწყავ მიწათმოქმედებას და მელიორაციას კვალიფიციური ხელმძღვანელობა და სათანადო ტექნიკა ესაჭიროება. რაიონში კი წყალთა მეურნეობის სპეციალისტთა და ტექნიკის ნაკლებობა იგრძნობა. საჭიროა ამთავითვე ვიზრუნოთ ამ ნაკლის გამოსწორებისათვის.

ამჟამად რაიონში ფართოდ არის გაჩაღებული საავგიტაციო-მასობრივი მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ღრმად განსამარტავად. პარტიის რაიონული კომიტეტი სპაგს კონკრეტულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სასახელოდ შესრულდეს. მთავარი ყურადღება მიპყრობილი გვაქვს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობისა და კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებისაკენ.

ა. ძაძუა,
საქართველოს კპ გალის რაიკომის პირველი მდივანი.

ახალი ჩარხი

ოგნილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხნის მექანიკურ-საანწყობო საამქროში დამთავრდა ახალი მძლავრსაჭრისიანი ავტომატის ტტ-87 ს2-ის გამოცდა, ეს ავტომატი გათვალისწინებულია მეტალურგიული ქარხნების ავტომატური ხაზებისათვის. ასეთი ტიპის ჩარხი ქართველმა ჩარხმშენებლებმა ჩვენს ქვეყანაში პირველად გამოიყენეს ბურბუშელის დაქუცმაცების მექანიზმი, რომელიც მუშაობს ოსცილაციის პრინციპით, რაც ბევრად ამარტივებს ავტომატური ხაზის მომსახურებას. ეს ჩარხის უკვე 250-ე მოდელია, რომელიც კიროვის სახელობის ქარხანაში შექმნეს.

სურათზე: საამქროს უფროსი გ. ბიბილეიშვილი (მარცხნივ), მისი მოადგილე აწყობის დარგში ა. კაშიაშვილი და გამმართველი ა. გურიანოვი ახალი ავტომატის გამართვაზე.

ფოტო ს. კილაძისა.

ვარიანის ლალები

ეკატერინეს ბიბლიოთეკა

გორის რაიონის სოფელ ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ოთარ ლაბაძემ კარგახნის საუბრის შემდეგ ხეხილის ბაღების დათვალიერება შემოგვთავაზა. ავტომანქანის სავეს თვითონ მიუჯდა. ალვისხეებით შემოკარული შარაგზით ბაღებისაკენ მივდიოთ.

— ეს ხეხილის ბაღი, როგორც ხედავთ, ახალგაზრდაა, — მარცხნივ მიგვანიშნა ოთარმა, — ორიოდე წელიც და ხეები ნაყოფის სიმძიმისგან წელში გაიღუნებიან. წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს. თუ ამინდმა გაგვიმართლა, გეგმას ორმაგად შევასრულებთ.

მივხვდი, რომ ოთარს ამინდისა ეშინია. თორემ მათი ბაღები აე თვალს არ ენახვება.

საგულდაგულოდ ირის დამუშავებული ყოველი კუთხე-კუნჭული, ვარიანელ მეხილეებს მკაცრად დაუცავთ ავროწესები. მხრებგაბრილი ვაშლის ხეები ერთიმეორეში გადახლართულან. მათი ხახვასა ფოთლები და დაკკლებული ნაყოფი ბორდოს ხსნარით არის დაპორფლილი.

— ჩვენს მეურნეობაში უქნათას ვერ შეხვდებით — ამბობს დირექტორი, — ყოველი მუშა გამრჯე და შრომისმოყვარეა. ისინი მოსავლის აღების დროს საშუშაო საათებს როდი უკუჭენენ. ვიდრე ხეზე ნაყოფი მოჩანს, სამუშაოს არ ტოვებენ. ოთარმა მათი გვარები ჩაგვაწერინა.

— ყველას ჩამოთვლა ძნელია, მხოლოდ რამდენიმე კაცს დაგისახელებთ: მექანიზატორები ალიოშა სეხნიაშვილი, სეზმან მურადაშვილი, გრიშა მდინარაძე. მეურნეობის ვეტერანი — ასე ვეძახით ლონგინოზ მაზმიშვილს. ეს ჯანგაუტეხელი კაცი მეურნეობის დაარსებიდან მუშაობს ჩვენთან. სანამ ინთებოდეს შრომით მას უკვე გული აქვს მოჯერებული.

— ლონგინოზი ახლახან საბჭოთა მთავრობამ, — საუბარი მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა კონსტანტინე ნადირაძემ გააგრძელა, — ლენინის ორდენით დააჯილდოვა. გასახარი მაინც ის არის, რომ ეს 63 წლის მოხუცი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით შრომობს.

ხეხილი მწვანე სამოსელში გახვეულა, თითქოს ერთიმეორის ჯიბრით მოუსხავს. უკვე ტოტები დამძიმებიათ მსხლის ხეებს, მხრები დაუხრიათ „კეხურას“, „მამპანიერ რენეტს“, „ბანანს“, „ლონდონის პეპინს“ და ვინ ჩამოთვლის ვაშლის ამდენ ჯიშებს, რომლებიც ვარიანის ბაღლიან მიწაზე მწიფდება.

— აქ უნდა ვაყოს ჩვენი ვმირი ეკატერინე თვალიაშვილი, — თქვა ოთარმა და უბნის უფროსს ივანე მკედლიშვილს ეკატერინეს ადგილსამყოფელი ჰკითხა.

— ის და სერგო ბლის ბაღში დაკტოვე, — უპასუხა ივანემ და გზა განაგრძო.

— სერგო ჯირკველიშვილი ჩვენი მეურნეობის მთავარი აგრონომია, — გვიხსნის ოთარი, — ალბათ ბაღის სიმწიფეს თუ ამოწმებენ.

ბალის ბაღში ლალისფერ ნაყოფით დახუნძლული ტოტები მნახველის თვალს იტაცებს.

უფრო და უფრო ღრმად შევდიოთ ბაღში. ბლის ხეები დახუნძლულ ტოტებს გვაწვდიან.

ბალის ვეებერთელა ხესთან კიბე მიუდგამთ ვერა მამულაშვილს და რუსუდან კისიევს, კრეფენ და კრეფენ დაშაქრებულ ნაყოფს, მაგრამ საკრეფი არ ილევა. აქეთ მეხილეობის ბრიგადის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი ეკატერინე თვალიაშვილი. კარგ ხასიათზეა, სახე უცინის და თვალებიც იმ ოქროს ვარსკვლავივით უბრწყინავს, მის მკერდს რომ ამშვენებს.

გასაგებია მისი მხიარული განწყობილება, ეკატერინე ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში პირველი შეუდგა ახალი ხუთწლედის პირველი მოსავლის მოღებას. ვინ მოთვლის 17 წლის მანძილზე მის ბრიგადაში მოკრეფილ ხილს რამდენი სალხინო სუფრა დაუმშვენებია.

— ბალის მოსავალზე რას იტყვით? — შეეკითხეთ ე. თვალიაშვილს.

—ბალი ჯერ კიდევ ყვავილში სიცოცხლემა დაახიანა. ყოველ დილას მივდიოდი და ვნახულობდი. ერთ ბანს იმედიც კი გადაეწყვიტე ბალის მოსავალზე, მაგრამ ახლა თქვენ თვითონ ხედავთ. ჰექტარზე 60 ცენტნერზე მეტს ვიღებთ. იმასაც გეტყვით, რომ მაინდამაინც არა ვართ კმაყოფილი ასეთი მოსავლით. უამინდობა რომ არა, მეტს მივიღებდით. ბაღებისთვის მოვლა-პატრონობა არ დაგეკლინა.

გვჯერა ეკატერინეს სიტყვისა, გვჯერა, რადგან ეგი მეტად შრომისმოყვარე და თავიანი საქმის ერთგულია. ეკატერინე მეტ დროს ბაღებში ატარებს. ყოველი ხის ავ-კარგი იცის.

ეკატერინე და ოთარი გოგრაბალის დახუნძლულ ტოტებს მიუახლოვდნენ და ნაყოფ-ს სიმწიფის ხარისხი შეამოწმეს. ჩვენ ვისარგებლეთ ამ მომენტით და ისინი ფოტოფირზე აღვბეჭდეთ. შემდეგ კი ვეო მამულაშვილს და ვასილ არაბაშვილს ვაეესაუბრეთ.

— სამოცა-ოთხმოც კილოგრამს ვკრეფ დღეში, — დარცხვენილი ამბობს ვერა. ვასილი კი ერთ დროულად კრეფს კიდეც და ყუთებითაც ამარაგებს მკრეფველებს.

მზე „მწვანე კედელს“ ამოეფარა. ჩვენც თითქმის ყოველივე ვნახეთ და შევიისწავლეთ. უკან დაბრუნებისას შევნიშნეთ ბლის სავსე ყუთებზე ფოტეტრები შემცირდნენ, აღარც ადრინდელივით ბზუოდნენ. უკანასკნელი მანქანა იტვირთება ვარიანის ლალისფერი ნაყოფით. ხვალ კი ხალისიანი მკრეფველები კვლავ გაუვსებენ ძარებს მძღოლებს ნიკოლოზ ხუტიშვილს, ვახტანგ სირბილაძეს, გიორგი რუსიშვილს, მიმღებ პუნქტამდე მიიტანენ და იქიდან კი ვარიანული ხილი ჩვენი რესპუბლიკის კურორტებზე და საკონსერვო ქარხნებში გაიგზავნება.

მოდიეართ და კვლავ თვალწინ გვიდგანან ვარიანელი მშრომელები, მათ მიერ გაშენებული და კოპწიად დამუშავებული 1.388 ჰექტარი ხეხილის ბაღები, სადაც ლალისფერი, შარავხისფერი და ქარვისფერი ხილი მწიფდება.

ბარაქას ბარაქა ემატება, ადამიანის მარჯვენის მადლი ატყვია ვარიანის ბაღებს.

რ. ბასილაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: ვარის რაიონის ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ოთარ ლაბაძე და ამავე მეურნეობის მეხილეობის ბრიგადის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი ეკატერინე თვალიაშვილი ამოწმებენ ბლის სიმწიფეს.

ფოტო ავტორისა.

სასკოლო მშენებლობა — დამკვრელური უგანი!

ქუთაისის საქალაქო საბჭოს სესია

ქუთაისი, 30 ივნისი. (საქდისი). გიგა-ბარბა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მორიგი სესია.

სესიამ მოისმინა სახალხო განათლების განყოფილების გამგის ი. გენძეხაძის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ქალაქში საყოველთაო სავალდებულო სწავლებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ.

— ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, — თქვა მომხსენებელმა, — ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილება, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გაახორციელდეს ქალაქში საყოველთაო საავალდებულო სწავლების შესახებ. სკოლები სწრაფი ტემპით ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის. ამაში აქტიურ დახმარებას უწევენ საშეფო ორგანიზაციები, მათ შორის საავტომობილო და ელექტრომექანიკური ქარხნები, ბერეშეთის კომბინატი, ტრიკოტაჟისა და ავეჯის ფაბრიკები და სხვ.

მოხსენების გამო ქალაქში გამოიყენეს მე-19 საშუალო სკოლის დირექტორი ი. ბალანჩივაძე, ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ო. კობერიძე, მე-3 სკოლა-ინტერნატის დირექტორი შ. ქაიხაძე, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ქ. ხეციდელიძე და სხვები.

განხილულ საკითხზე სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

შეფები ეხმარებიან

წულუკიძე. (საკ. კორ.). რაიონის სკოლებს ახალი სასწავლო წლისათვის მოამზადებში დიდ დახმარებას უწევენ შეფი კოლმეურნეობები და საწარმოები.

წულუკიძის სინოფზური მასალების ნაკეთობათა ქარხანა (დირექტორი გ. აბაშიძე) ქალაქის პირველ საშუალო სკოლას ურემონტებს სამ საკლასო ოთახს, ხოლო ივანდიდის კოლმეურნეობა და კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი“ ამავე სოფლების სკოლებს ორ-ორ საკლასო ოთახს. წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობა თავისი ძალებით შეასრულებს მე-2 საშუალო სკოლის შენობის შეღებვის სამუშაოებს. ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობა კი შეაკეთებს მე-3 სკოლის ფასადს.

შეფებმა უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები. გორა-ჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ანდრიაძე) დაიწყო ამ სოფლის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების კორპუსის რემონტი. გუბის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე კ. კორძაძე) ამ სოფლის საშუალო სკოლას გაუკეთა მოასფალტებული მისასვლელი გზა. ჩაის საბჭოთა მეურნეობა 1 აგვისტომდე დაამთავრებს რუსული რვაწლიანი სკოლის რემონტს.

წულუკიძის სამშენებლო-სარემონტო უბნის (უფროსი ზ. ბუციშვილი) მშენებლები ვადაზე ერთი თვით ადრე — 20 ივლისისათვის დაამთავრებენ სოფელ ახალბედიასულის რვაწლიანი სკოლისათვის რვა საკლასო ოთახის მიშენებას და სკოლა ახალი სასწავლო წლიდან ერთ ცვლად იმეცადინებს. სოფელ დედალაურში უკვე დაამთავრეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი, ყველგან გაჩაღებულია სკოლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი.

დაიწყო ახალი დგამ-ავეჯისა და კაბინეტებისათვის საჭირო ხელსაწყოების შეძენა. სკოლებმა უკვე მიიღეს 4 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარაღები, აგრეთვე 250 მერხი, 50 დაფა, ამდენივე სამასწავლებლო მაგიდა და სხვა ინვენტარი.

მხოლოდ ნახაზები

საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების სახელმწიფო კანონის გატარების მიზნით 1965 წლის პირველი სექტემბრიდან გულრიფშის რაიონის ფშაფის დაწყებითი სკოლა რეორგანიზებულ იქნა რვაწლიან სკოლად. ამ სკოლის I-V კლასებში ამჟამად 84 მოსწავლე ირიცხება. სკოლის შენობა ორი საკლასო ოთახისაგან შედგება, სადაც მეცადინეობა ორ ცვლად მიმდინარეობს. არ გვაქვს სამასწავლებლო, პიონერთა ოთახი, ბიბლიოთეკა.

ახალი სასწავლო წლიდან I კლასში მიღებული იქნება 27 მოსწავლე, და მოსწავლეთა რიცხვი I-VI კლასებში 111-მდე გაიზრდება. გაძნელდება მოსწავლეთა ამ კონტინგენტის შენარჩუნება და სკოლის სამოქმედო ტერიტორიაზე საყოველთაო სავალდებულო სწავლების სახელმწიფო კანონის გატარება, თუ შენობის საკითხი არ მოგვარდა.

1965 წლის დასაწყისში ამავე სოფლის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ჩვენი სკოლის მატერიალური ბაზის გაფართოებისათვის გამოყო 10.000 მანეთი, შედგენილ იქნა, ქ. სოხუმის საპროექტო განყოფილებაში, მშენებლობის პროექტიც, მაგრამ დადგენილება და პროექტი ქალაქდზე დარჩა, დღემდე არაფერი გაკეთებულა.

როდემდის ვიქნებით ამ პირობებში?

მასწავლებლები: ს. ლატარია, ნ. ცუცქირიძე, ლ. ჩემი; **მშობლები:** ბ. ხარებავა, მ. ჯალალონია, ა. შელია, ა. თოდუა.

მე-2 გვერდი. კვირა, 8 ივლისი, 1966 წ.

დრო და იმპერიალიზმი

ვ. ი. ლენინის წიგნის „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ 50 წლისთავი

ვ. ი. ლენინმა 1916 წლის 2 ივლისს დაამთავრა მუშაობა თავის გენიალურ წიგნზე „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. მას შემდეგ 50 წელი გავიდა. განვლილ ნახევარ საუკუნეში კაცობრიობამ მოახდინა უდიდესი რევოლუციური გარდაქმნები. გამოიცვალა თვით ეპოქის ხასიათიც. თანამედროვე ეპოქა ალარ არის იმპერიალიზმის ეპოქა. საზოგადოებრივი ძალთა თანაფარდობა შეიცვალა იმპერიალიზმის საზიანოდ. საზოგადოების განვითარების მოძრაობაზე განსაზღვრის გადამწყვეტი ფაქტორი გახდნენ მძლავრი ანტიიმპერიალისტური ძალები.

მართალია, არ შეცვლილა იმპერიალიზმის ბუნება, მისი კერძო-კაპიტალისტური სუფთაფლები, მაგრამ თვით მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის მოქმედებაში, მონოპოლიურ გადრთიანებთან ერთად ბევრი ისეთი ფაქტორი ჩამოყალიბდა, რის შედეგადაც თანამედროვე იმპერიალიზმი გარკვეულად სრულიად ალარ ჰგავს XX საუკუნის დამპყრობელ იმპერიალიზმს.

ვ. ი. ლენინის ნაშრომი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკური ნიმუშია. ამ ნაშრომში მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი და მასწავლებელი წარმოგვიდგა, როგორც გენიალური მეცნიერი და უბადლო მკვლევარი. მან მეცნიერულად შეისწავლა და განაზოგადა უდიდესი მასალები იმპერიალიზმის ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხებზე. კრიტიკულად ადაალმაჩვა მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე გამოცემული წიგნების, ბროშურების, სტატიებისა და სტატისტიკური კრებულების მოპაკვები.

ვ. მარქსისა და ფ. ენგელსის საქმის დიდმა განმგრძობმა ვ. ი. ლენინმა კ. მარქსის „კაპიტალის“ დებულებებზე დაყრდნობით, პირველმა მარქსისტთა შორის, განაზოგადა კაპიტალიზმის ისტორიული განვითარება ფეოდალიზმ 50 წელიწადში. მან მოგვცა ღრმა, მარქსისტული ანალიზი იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და ამავე დროს ფაბულანური სტადიისა. ბელადმა დასაბუთა ახალ ისტორიულ გეოგრაფიაში სოციალისტური რევოლუციის პერსპექტივები, ცხადყო, რომ იმპერიალიზმი პროლეტარული რევოლუციის წინადღეა.

ნაშრომის პირველ ეტაპს ვ. ი. ლენინი იძლევა იმპერიალიზმის ძირითადი ნიშნების ანალიზს, ხოლო დანარჩენ ოთხ თავში იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის განსაკუთრებული პარაზიტული, ლპობადი და მომაკვდავი სტადიის, სოციალისტური რევოლუციის წინადღის ხასიათებს.

ვ. ი. ლენინი იმპერიალიზმს ახასიათებს ხუთი ძირითადი ნიშნით, როგორც ისეთს, 1. წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის ისეთი საფეხური, რომელიც გადაწყვეტ როლს ასრულებენ სამეურნეო ცხოვრებაში; 2. საბანკო კაპიტალის შერწყმა სამრეწველოსთან და ფინანსური ოლიგარქიის შექმნა; 3. კაპიტალის გატანას საქონლის გატანასთან შედარებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება; 4. საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირების შექმნა, რომლებიც მსოფლიოს იყოფენენ; 5. დამთავრებულია დედამიწის ტერიტორიული გადანაწილება უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ.

გამოდის რა ამ ნიშნებიდან, ვ. ი. ლენინი იძლევა იმპერიალიზმის კლასიკურ განმარტებას: **„იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმი განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ჩამოყალიბდა მონოპოლიებისა და ფინანსურმა კაპიტალის ბატონობა, უკიდესი მნიშვნელობა მიიღო კაპიტალის გატანამ, დაიწყო მსოფლიოს განაწილება საერთაშორისო ტრესტებს შორის და დამთავრდა დედამიწის მთელი ტერიტორიის განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის“.**

ლენინმა მეცნიერული ეჭვეშ დააყენა მეშაობა თავის გენიალურ წიგნზე „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. მას შემდეგ 50 წელი გავიდა. განვლილ ნახევარ საუკუნეში კაცობრიობამ მოახდინა უდიდესი რევოლუციური გარდაქმნები. გამოიცვალა თვით ეპოქის ხასიათიც. თანამედროვე ეპოქა ალარ არის იმპერიალიზმის ეპოქა. საზოგადოებრივი ძალთა თანაფარდობა შეიცვალა იმპერიალიზმის საზიანოდ. საზოგადოების განვითარების მოძრაობაზე განსაზღვრის გადამწყვეტი ფაქტორი გახდნენ მძლავრი ანტიიმპერიალისტური ძალები.

მართალია, არ შეცვლილა იმპერიალიზმის ბუნება, მისი კერძო-კაპიტალისტური სუფთაფლები, მაგრამ თვით მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის მოქმედებაში, მონოპოლიურ გადრთიანებთან ერთად ბევრი ისეთი ფაქტორი ჩამოყალიბდა, რის შედეგადაც თანამედროვე იმპერიალიზმი გარკვეულად სრულიად ალარ ჰგავს XX საუკუნის დამპყრობელ იმპერიალიზმს.

ვ. ი. ლენინი ეკონომიკურ ფაქტორებს ანიჭებს ძირითადი ადგილს. ეს ფაქტორებია: 1. ეკონომიკური ძალების ზრდა ბანკების, ტიპიური ბანკებისა, ბანკების ბატონობა, ბანკების ბატონობა, ტიპიური ბანკების ბატონობა, ბანკების ბატონობა, ბანკების ბატონობა,

1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი სესხი

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით 1966 წლის 1 ივლისიდან შემნახველი სალაროების საშუალებით მოსახლეობაში გასავრცელებლად გამოუშვა 1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს უფროსს ამხ. შ. რამიშვილს და სთხოვა ეამბნა მკითხველებისათვის ამ სესხის შესახებ.

ეს სესხი გამოშვებულია, — თქვა მან, — 1966 წლის 1 ივლისიდან 1986 წლის 1 ივლისამდე, ე. ი. 20 წლის ვადით.

სესხი გამოვიდა იმასთან დაკავშირებით, რომ 1967 წლის ბოლოს მთავრდება 1947 წლის გამოშვების სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ვადა.

1966 წლის გამოშვებული სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის გამოშვებისას გათვალისწინებულ იქნა მოსახლეობიდან შემოსული მრავალი წინადადება და 1947 წლის გამოშვების სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის პირობებიდან ზოგიერთი რამ შეიცვალა. მაგალითად, 1947 წლის გამოშვების სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მიმოქცევის ოცი წლის მანძილზე იგებდა ობლიგაციების საერთო რაოდენობის 25 პროცენტი, 1966 წლის გამოშვების სახელმწიფო სამპროცენტიან შინაგან მომგებიან სესხში კი მოიგებს 30 პროცენტი, ე. ი. 5 პროცენტით მეტი.

მოგებათა საერთო თანხა და რაოდენობა გადიდებულია იმის ხარჯზე, რომ 1966 წლის გამოშვების სესხით გათვალისწინებული არ არის 10.000 მანეთის საუბარი საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს უფროსთან

შ. რამიშვილთან

◆

ოდენობა 6 ძირითადი და 1 დამატებითი ტირაჟი, 1966 წლის გამოშვების სახელმწიფო სესხზე გაიმართება 8 ძირითადი ტირაჟი. დამატებითი ტირაჟი 1966 წლის გამოშვების სესხზე არ გაიმართება.

1966 წლის გამოშვების სამპროცენტიან სესხზე სულ მთელი 20 წლის ვადაში გაიმართება 160 ტირაჟი.

1966 წლის გამოშვების სესხის ერთ თანრიგში ყოველწლიურად გათამაშდება 75.200 მოგება 4.100.480 მანეთი თანხისა ნაცვლად 1947 წლის გამოშვებულ სესხზე გათამაშებული 3.929.180 მანეთი თანხის 62.500 მოგებისა, ხოლო სესხის მთელი ვადის განმავლობაში შესაბამისად 1.504.000 მოგება 82.009.600 მანეთი თანხისა ნაცვლად 78.583.600 მანეთის 1.250.000 მოგებისა.

1966 წლის სესხის ტირაჟები გაიმართება 15 თებერვალს, 30 მარტს, 15 მაისს, 30 ივნისს, 15 აგვისტოს, 30 სექტემბერს, 15 ნოემბერს და 30 დეკემბერს, ე. ი. კვარტალში გაიმართება ორი ტირაჟი. ხოლო 1947 წლის სესხის ტირაჟები გაიმართება დამოუკიდებლად, თანახმად დამტკიცებული გეგმისა.

როგორც 1966 წლის, ისე 1947 წლის გამოშვების სესხის ობლიგაციებს შემნახველი სალაროები გაუიდიან სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფასების მიხედვით, ხოლო ობლიგაციების შესყიდვა იწარმოებს ნომინალური ღირებულებით.

1966 წლის 1 ივლისიდან ერთდროულად მიმოქცევაშია 1966 წლის გამოშვების სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები 6 თანრიგი 600 მილიონი მანეთი თანხით.

მოგებათა ტირაჟებში სესხის თვითეულ თანრიგზე გათამაშდება:

ოქმანეთიანი ობლიგაციის მოგების ოდენობა (ნომინალური ღირებულების ჩათვლით)	ერთ ტირაჟში		160 ტირაჟში	
	მოგებათა რაოდენობა	მოგებათა თანხა (მანეთობით)	მოგებათა რაოდენობა	მოგებათა თანხა (მანეთობით)
5.000-მანეთიანი	2	10.000	320	1.600.000
2.500-მანეთიანი	5	12.500	800	2.000.000
1.000-მანეთიანი	20	20.000	3.200	3.200.000
500-მანეთიანი	109	54.500	17.440	8.720.000
100-მანეთიანი	750	75.000	120.000	12.000.000
40-მანეთიანი	8.514	340.560	1.362.240	54.489.600
სულ	9.400	512.560	1.504.000	82.009.600

საჭიროა გავაცნოთ მოსახლეობას 1966 წლის გამოშვების სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის, აგრეთვე 1947 წლის გამოშვების სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის პირობები და განვუმარტოთ, რომ ორივე გამოშვების სესხის ობლიგაციები მონაწილეობას მიიღებენ ტირაჟებში, რომლებიც დამოუკიდებლად გაიმართება დაწესებულ ვადებში.

მოსახლეობამ აგრეთვე უნდა იცოდეს, რომ 1967 წლის 30 ნოემბერს გაიმართება 1947 წლის გამოშვების სამპროცენტიანი სესხის მოგებათა უკანასკნელი ტირაჟი, რის შემდეგ ამ ობლიგაციების მფლობელთ უფლება ენიჭებათ 1968 წლის პირველ ივნისამდე გამოცვალონ ეს ობლიგაციები 1966 წლის გამოშვების სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებზე შეღავათიან პირობებში, ე. ი. საკურსო განსხვავების გადაუხდელად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ობლიგაციების მფლობელთ შეუძლიათ ეს ობლიგაციები იქონიონ 1970 წლის პირველ იანვრამდე. ხოლო ამის შემდეგ ისინი ძალას კარგავენ და განაღდებული აღარ იქნებიან.

სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხები მოსახლეობის ფულადი დანაზოგის შენახვის მოხერხებული და ხელსაყრელი ფორმაა. ეს სესხები დიდი პოპულარობით სარგებლობენ მოსახლეობაში. ამის დამადასტურებელია ის, რომ 1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის გამოშვების პირველი დღიდანვე ამ სესხის ობლიგაციები, აგრეთვე 1947 წლის გამოშვების ობლიგაციები წარმატებით იყიდება შემნახველ სალაროებში.

ძმური სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხს

საკავშირო პროფსაბჭოს განცხადება

29 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ბრძანებით ამერიკის ავიაგამანადგურებელ ბომბდამშენთა რაზმებმა ბარბაროსულად დაბომბეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდესი დასახლებული პუნქტებისა და სამრეწველო ცენტრების — ქალაქების ჰანოისა და ჰაიფონის გარეუბნები. ორი დღით ადრე ამერიკის შეერთებული შტატების სახმედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა დაბომბეს კამხალიები და ჯუბრები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრ პროვინციაში.

ამერიკის შეერთებული შტატების მხედრიონის ახალი ბარბაროსული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყველა საბჭოთა ადამიანის აღშფოთებას იწვევს. მთელი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულებრივი მოქმედებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს ეკისრებათ.

საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირთა ცენტრალური საბჭო საბჭოთა მუშებისა და მოსამსახურეების სახელით მტკიცედ აპროტესტებს გამოთქვამს ომის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ აფართოებენ აგრესიას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიცვან ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა, გაიყვანონ თავიანთი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, და შეიქმნას პირობები, რომ ვიეტნამელმა ხალხმა დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი საშინაო პრობლემები გარეშის ჩაურევლად.

საკავშირო პროფსაბჭო კვლავ აცხადებს, რომ სსრ კავშირის მშრომელნი და პროფკავშირები სრულ სოლიდარობას უწევენ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მზად არიან კვლავაც ყოველნაირი მორალური მხარდაჭერა და მატერიალური დახმარება გაუწიონ ვიეტნამელ ხალხს სამართლიან ბრძოლაში.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ვიეტნამელი ხალხი, რომლის ბრძოლას მტკიცედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხები, მსოფლიოს ყველა კეთილმოსურნე, დაამარცხებს აგრესორებს და მთელი ვიეტნამელი ხალხი მოიპოვებს თავისუფლებას.

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭო.

გულისწყრომა და აღშფოთება

თბილისი ქარხანა „გაზაპარატში“ გაიმართა მებრძოლ ვიეტნამთან სოლიდარობის მიტინგი.

მიტინგი გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ კ. ბეჟუაშვილმა.

— გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს შეერთებული შტატების ახალი დანაშაულებრივი აქტი, რომლის მიზანია სისხლისმღვრელი ომის გაფართოება ვიეტნამში, — განაცხადა სატვიფრი საამქროს ხარატმა ლ. პოღოსოვმა.

ტრიბუნაზე სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი მბურღავი ზ. ანჯაფარიძე. მან თქვა:

— ამერიკელ ცის მეკობართა თავდასხმა ჰანოის გარეუბნებსა და ჰაიფონის ნავსადგურზე თავისი სისასტიკით შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ჰიტლერულ ფაშიზმის დანაშაულობებს. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მოვითხოვთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავგადასავალი დასრულდეს ერთხელ და მუდამ.

— ამერიკელ ცის მეკობართა თავდასხმა ჰანოის გარეუბნებსა და ჰაიფონის ნავსადგურზე თავისი სისასტიკით შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ჰიტლერული

ამბები • ცნობები

ჯილდო მწყემსებს

დუშეთი. (საკ. კორ.). კასპიისპირეთის ზამთრის საძოვრებზე, საკოლმეურნეო ფერმებს შორის ყველაზე კარგ წარმატებას მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის მწყემსებმა მიაღწიეს და გაიმარჯვეს ფასანაურელ მეცხვარეთა თაოსნობით გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც მათ მიენიჭათ საქართველოს სსრ ჩრდილოეთ კავკასიის საძოვრების სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა. ვალდებულებით მათ ყოველ ას ნერგზე უნდა შეენარჩუნებინათ 20 ბატკანი, სინამდვილეში შეინარჩუნეს 94.

ამ გამარჯვების აღსანიშნავად მაღაროსკარში გაიმართა მწყემსთა შეკრება. იგი გახსნა დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. ზოტიკიშვილმა. სახელოვან მეცხვარეებს შესანიშნავი წარმატება მიულოცეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. უძილაურმა, პენსიონერმა ა. ხუციურაულმა, ადგილობრივი სკოლის დირექტორმა გ. თურმანაულმა, მასწავლებელმა ი. ქართველიშვილმა და დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. მწითურმა.

მოწინავე მწყემსებს ს. ნარიმანიშვილს, ი. გიგაურს, გ. ბეყოშვილსა და ი. მგელაშვილს ფასიანი ჯილდოები გადაეცათ.

სასიამოვნოა ბიბვინთის მრავალსაუკუნოვან ფიჰვნარში დასვენება, როცა აქვეა ლურჯად მოკაკამკამე შავი ზღვა.

ფოტო ვლ. ზარიძისა.

ტურისტი

საბჭოთა კავშირში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ტურიზმს. იზრდება ახალი ტურისტული მარშრუტებისა და საექსკურსიო-ტურისტული ბიუროების, ტურისტული ბაზების რიცხვი. საბჭოთა სახელმწიფო მილიონობით მახეთს ხარჯავს ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის. ამ უკანასკნელ ხანა საბჭოთა კავშირში ცალკე წიგნებად და ბიულეტენების სახით ასეულ ათასობით ტირაჟით გამოიცა სხვადასხვა სახელწოდების ტურისტული ლიტერატურა.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მოგზაურობის მოყვარულთ დღემდე არ ჰქონდათ პერიოდული ორგანო, რომელიც უპასუხებდეს ტურისტებისათვის საინტერესო კითხვებზე.

და აი მიმდინარე წელს ტურისტებმა მიიღეს თავიანთი ახალი ყოველთვიური ჟურნალი „ტურისტი".

ჟურნალ „ტურისტის" გამოსვლამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

„ტურისტი" საუკეთესო მრჩეველია როგორც ტურისტებისათვის, ისე ყველა ადამიანისათვის, ვისაც უყვარს ბუნება, ერის აწმყო, წარსული და მომავალი, მისი ისტორიული ძეგლები და არქიტექტურა.

ახალი ჟურნალი მკითხველს აცნობს ტურიზმის მასობრივი განვითარების პრესშეკრებებს როგორც სოციალისტურ, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში, მოუთხრობს ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიულ წარსულზე, არქიტექტურულ ძეგლებსა და ღირსშესანიშნაობებზე.

ჟურნალი მეთოდურ დახმარებას უწევს ტურისტულ ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ ინსტრუქტორებს.

ჟურნალში თანამშრომლობენ ცნობილი მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, სპორტსმენები, ტურიზმის ვეტერანები.

ბუნებრივია, ტურიზმის მოყვარულნი არ დაკმაყოფილებენ და გამოიწერენ ახალ ჟურნალ „ტურისტს".

ა. ჯანჯღავა.

საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ბატონ გეგოიავას ექცდოქა

იუმორესკა

ბატონმა გეგოიამამ იაპონიაში იგემა ქართული საჭმელი. ძალიან მოეწონა. დაჰკრა ფეხი და ჩამოვიდა საქართველოში. გაიარ-გამოიარა თბილისში და ყოველ ნაბიჯზე რესტორანი დაინახა. დაინახა გეგოიამამ — აღარ იცოდა რომელი რესტორანი ამოერჩია. აქ ყველა ერთმანეთზე უკეთესია! — დაბუტქუა თავი, ადგა და ერთში შეეყარა. გაშალა მენიუ და დაიწყო დამარცვლით კითხვა. ახ-ტრი-ჯოტი, ლან-გეტი, ბივშ-ტექსი, რამშ-ტექსი, შნი-ცელი, რა-გუ, როსტ-ბი-ფი... ცოტა არ იყოს, დაეჭვდა ბატონი გეგოიამამა, თვალი მოავლო ქერა ოფიციანტ ქალებს და თავისთვის ჩალაპარაკა:

— აა?! იქნებ კოპენჰაგენში მოვხვდი?!

— რას ბრძანებთ, ბატონო, თქვენ ნამდვილად თბილისში იმყოფებით. — მიეხმატებლა შაულვაშა ოფიციანტი სტუმარს.

იაპონელმა შაულვაშას შეხედა და შეეძახა ამოისუნთქა:

— ჰო, სწორია, კოპენჰაგენში კაცებიც ქერა ან მწითურები არიან.

— რას ინებებთ, ბატონო? — ჰკითხა შაულვაშამ უცხოელს.

გეგოიამამ თავაზიანად დაიწყო მოყოლა, რომ იაპონიაში არის ქართული რესტორანი და იქ მან მიირთვა ისეთი კერძები, ისეთი, რომ...

— ოღონდ, სამწუხაროდ, იმ კერძების სახელები აღარ მახსოვს. — ნერწყვიც ყლაპეთ დაამთავრა გეგოიამამ.

— ეგ არაფერია, ბატონო, თქვენ ის გახსოვნეთ, როგორი კერძები იყო მესაზღვაგად. — გეგოთი და მე მაშინვე მივბაძები, გაამზადება ოფიციანტმა. — ეს ბატონმა გეგოიამამ გაიხსენა.

— ჯერ იყო ძალიან თხელი ჯური. შიგ მოთავსებული ჭყინტლი ყველით, ისეთი გეგრელი, ისეთი, რომ პირდაპირ ენაზე მადნებოდა...

— ხაჭაპური! — გამოიცნო გახარებულმა შაულვაშამ.

— ...შემდეგ ნიგვზით, ფინეკით, ბროწეულით, ძმრით, მუწანილით და ათასგვარი სანელებლებით შეკაზმულ სქელ ფენში ჩაწყობილი ფრინველის ხორცი...

— ეჰ, ეჰ, საცივი, ბატონო. საცივი! — აამწყალუნა პირი ოფიციანტმა.

— კიდევ შამფურზე წამოგებული წინწალებიანი პატარა თევზები, ისეთი გეგრიული, ისეთი რომ..

— კალმახი, ბატონო, კალმახი, მერე მერე!...

— ჰო, კიდევ სიმინდის ფქვილის სქელი ფაფასავით, შიგ ჩაზელილი სულგუნით და...

— დიდა, დიდა, ელარჯი, ელარჯი!

— მერე, ნაკვერჩხლებზე შემწვარი ბატკნის მცირანი მწვადები...

— დიდა! ოა! ოა!!

— კიდევ... მაგრამ, სამწუხაროდ, მეტი აღარ მახსოვს.

ოფიციანტებმა საკმეზე მიაშურეს. შაულვაშამაც ღონე მოიკრიბა და გეგოიამას კერძი მიართვა.

რესტორანში წყნარად იჯდა ბატონი გეგოიამა, უდრტვინველად ღეჭავდა თქვენგან მოწონებულ შამშატექსს ნაჭერს და თავიდაგვის ფიქრობდა:

— მერე რა, რომ კაცებიც ქერა ან მწითურები არ არიან... არა, მე ნამდვილად იაპონელებში მოვხვდი. მაგრამ სირცხვილით როგორ გავამხელ ამას

ზ. რატიანი.

თეატრი

თანამედროვეობის ხელოვნება

„ცხოვრება კაცისა" ჰიათურის სახელმწიფო თეატრის სცენაზე

თბილისის თეატრალური საზოგადოებრიობა, ჩვენი მაყურებელი ინტერესით გაეცნენ ჰიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთ ახალ ნამუშევარს. ეს გახლავთ სპექტაკლი „ცხოვრება კაცისა", რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ეძღვნება.

ჰიათურის თეატრის წლევანდელი რეპერტუარიდან „ცხოვრება კაცისა" გამოსაკუთრებით საყურადღებო სპექტაკლია. ეგი, ჩვენი აზრით, ჯერ-ჯერობით მიღწეული თეატრალური სიწმინდეა ბრძოლოვანი ბოლშევიზმისა. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ო. ალექსიშვილმა (ბალეტები — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფ. ლაპიაშვილი და თ. სუმბათაშვილი, მუსიკალური გაფორმება ე. არაყიშვილისა).

სპექტაკლის წარმატება უწინარეს ყოველისა განაპირობა მისმა ლიტერატურულ-დრამატულმა პირველწყაროს, რომელს მხატვრული ღირსებანი ნათლად მეტყველებენ მისი ავტორის გ. ხუხუაშვილის ბიეგიერებს. საბჭოთა. კავშირის კულტურის მინისტრმა ეკ. ფურცევამ გაზეთ „ტრუდის" 19 მარტის ნომერში „ცხოვრება კაცისა" მოიხსენია როგორც დიადი თარიღის — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად შექმნილი შესანიშნავი პიესა.

გიორგი ხუხუაშვილი მზარდი შემოქმედია. „ზღვის შვილების" (რუსთაველის თეატრში) და „მთაწმიდის მთვარის" (მაიაკოვსკის თეატრში) შემდეგ მისი მესამე პიესა „ცხოვრება კაცისა", ზოგიერთი წმინდა ლიტერატურული ნაკლის მიუხედავად, ახალგაზრდა დრამატურგის სერიოზული გაბაცხადია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „ცხოვრება კაცისა" უწინარეს ყოვლისა საინტერესო ნაწარმოებია სიმართლეზე, მართალ კაცზე. მაგრამ იგი მხოლოდ ამ პრობლემატურობით კი არ გვიხიბლავს, არამედ, რაც მთავარია, თვის გადაწყვეტის საკვანძებრი მანერით, ხასიათების მრავალფეროვნებით საერთოდ მაღალი ლიტერატურული დონით.

ავტორმა პიესას ეპიგრაფად წარუმძღვარა დანტონის სიტყვები: „სიმართლე, მწარე სიმართლე". მართლაც ეს სიმართლე, ნამდვილი სიმართლე, ზოგჯერ მწარე, მოუფრდებელი, ზოგჯერაც ტკბილი, საამო, თავიდან ბოლომდე გასდევს პიესას თუ სპექტაკლის თვითეულ სცენას. დამდგმელმა რეჟისორმა სწორად გაიგო ავტორის იდეური ჩანაფიქრი, მოუძებნა მას შესატყვისი სცენური ფორმა და შექმნა სიინტერესო, ნამდვილი დრამატული დაძაბულობის სპექტაკლი. აქ ძირითად კოფლიქტი აგებულია არა ოიმელიმე კერძო შემთხვევაზე, არამედ ცხოვრების ორი სიწყისის — სიკეთისა და ბოროტების ისტორიულ და ფილოსოფიურ შეჯახებაზე.

ორი მეშა, ორი რკინიგზელი საბა და ბასა ნახევარი საუკუნეა ერთად მიპყვანიან წუთისოფლის შარაგზას, მაგრამ ცხოვრებას მაინც სხვადასხვაგვარად ეყურებენ. საბა მხოლოდ მართალი კაცი როდია, არამედ შინაგანად ძლიერი ადამიანი, რომელისთვისაც სიმართლე კაცობის იდეალი, იდეური მრწამსია. საბას ყველგან და ყოველთვის ერთი „ღმერთი" სწამდა — სიმართლე. მხოლოდ სიმართლე. ამის გამო რამდენჯერმე „ჭკუასასწავლებელი" მარცხიც კი განიცადა (რომლის დროსაც დროებით ზეიმობდა ციხეოს ბასას ფილოსოფია). მაგრამ საბა მაინც ბოლომდე ერთგული რჩებოდა თავისი რწმენისა.

ხუთრათზე: სცენა სპექტაკლიდან „ცხოვრება კაცისა".

ფოტო ი. ჭურხულისა.

დრამატურგ გ. ცოდილის ნაწარმოების საერთო აქციტეტურობაკი რაც შეიძლება თავი ალიდოს ტრადიციულ ხაზებსა და შტამპებს, გამოიელიოს საკუთარი ხელწერა. ამატრამაც ზოგჯერ ხასიათისა თუ სიტუაციის განვითარება ისე არ ხდება, როგორც მოველით, მაგრამ საბედნიეროდ, ამ ორიგინალობაში ავტორის პრეტენციოზულ ახირებულობას კი არ ვხედავთ, ორაზედ ცხოვრებისეულ სამართლეს, თავისი პროზითა და პოეზიით. ეს ცხოვრებისეული სიმართლე კი ეხმარება ბასს შემნახავ ბეერ შემთხვევაში სრულყოფილი ხატვრული სახეები. რაც თავისთავად უმდიდრესი და უნოყიერესი „საკვები" თეატრალური ხელოვნების შთაგონებისათვის. სწორედ ამიტომ არის სპექტაკლში ამდენი კარგი აქტიორული ნამუშევარი.

მსახიობისთვის ბედნიერებაა, როცა ავტორი და რეჟისორი მოქმედების ფართო ასპარეზს გადაუშლიან მას. ასეთი ბედნიერება სპექტაკლის მონაწილე ბევრ მსახიობს ხვდა, მაგრამ ყველაზე მეტად მთავარი როლის შემსრულებელ ნოდარ ჩაჩანიძეს. ისაა ეგი ძალიან ლიტერატურულ-დრამატული მასალა ნიჭიერმა მსახიობმა შთაგონებით გამოაწრთო თავის შემოქმედებით ქერაში და გამარჯვებასაც მიაღწია. გადაუჭარბებლად შეიძლება თქვეს, რომ თუ „ცხოვრება კაცისა" 1965-66 წლების თეატრალური სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევაა, მაშინ ერთ-ერთ საუკეთესო სცენურ სახედ ნოდარ ჩაჩანიძის ბასა ურბნელი უნდა მივიჩნიოთ.

ამით იმის თქმა როდი გვსურს, თითქოს „ცხოვრება კაცისა" ერთი მსახიობის სპექტაკლია. ნ. ჩაჩანიძეს ღირსეული პარტნიორები ჰყავს. უწინარეს ყოვლისა, მ. ეგაშაძე (რესპუბლიკის სახალხო არტისტი), რომელიც დიდი სცენური სიმართლითა და მომხიბვლელობით ასრულებს ბასას ფსიქოლოგიურად რთულ როლს. ასევე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. კუსიანი (ბობა ია ბაშვილი), მსახიობები ა. მოსეშვილი (რუსუდანი), ი. ჯიმკარიანი (ლამარა), გ. ძოდებაძე, თ. მელაია და სხვ. ეს უკანასკნელი ორ როლს ასრულებს ამ სპექტაკლში (ნიკოსა და ლადო იაშვილის). როგორც ჩანს, მისი სახით წელს ჰიათურის თეატრმა კარგი შეესება მიიღო თეატრალური ინსტიტუტიდან.

რეჟისორმა ოთარ ალექსიშვილმა კარგად გაართვა თავი პიესის გასცენიერების სირთულეს. სხვა რომ არაფერი, მასში ასახულია ჩვენი ინამდეილე სამოქალაქო ომიდან დღემდე. წმინდა ტექნიკურ საკითხებს რომ თავი დავანებოთო, პიესაში ძალიან ბევრი მოქმედი გმირი და ეპიზოდია. ამას გარდა აქტიურად მონაწილეობენ ჯარისკაცები, მუშები, მეზღვაურები, ქორო. მაგრამ ყველაფერში იგრძნობა რეჟისორის ნაკადი ხელი. პატარ-პატარა ეპიზოდები თუ მასობრივი სცენები კინემატოგრაფიული სისწრაფითა და მხატვრული სიმართლით ერწყმიან ერთმანეთს სპექტაკლი „ცხოვრება კაცისა" ჰიათურელებმა ამასწინათ უჩვენეს მაყურებელს რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე. იგი თბილისელებმა გულთბილად მიიღეს.

ამ სპექტაკლმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ჰიათურის თეატრის სახით ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი თვალსაჩინო თეატრალური ტრადიციებისა და პოტენციის მქონე კოლექტივი, რომელიც იმედია თავის წელილს შეიტანს ჩვენი ეროვნული კულტურის შემდგომი ზრდა-განვითარების საქმეში.

გ. დოლიძე.

• • •

... ...

... ...

ერთ-ერთმა ამერიკულმა ფირმამ დაამუშავა ახალი მეთოდი, რომლის მიხედვითაც ძალიან მოკლე დროში შესაძლებელია ვერტმფრინავის დასაჯდომი მოედნის მოწყობა სუფთ გრუნტზე. მაგალითად ჭაობზე. ეს უბრალოდ ხდება — ჭაობის ზედაპირზე სპეციალური ტუბებიდან ასხამენ თხევად პლასტიკურ მასას. იგი თანაბრად ეფინება ზედაპირს, სწრაფად მაგრდება, და დასაჯდომი მოედანიც მზად არის ვერტმფრინავების მისაღებად.

პარაშუტი ნავზე

ცნობილმა ფრანგმა მფრინავმა და გამომგონებელმა პიერ ლემონიემ დაამზადა პარაშუტის ტიპის აფრა. ასეთი აფრა ჩვეულებრივთან შედარებით ნავის სიჩქარეს 20 პროცენტით ზრდის.

მანქანას რემონტი არ სჭირდება

მსუბუქი ავტომანქანების ცნობილმა ინგლისელმა კონსტრუქტორმა ჯონ უესტმა დაიწყო გამოცდა ხუთადგილიანი ავტომანქანისა, რომელსაც რემონტი არ სჭირდება. იგი აწყობილია ისე, რომ ნებისმიერი ნაწილი ან მთელი კვანძი ოოლად გამოიღება და ასევე ოოლად იცვლება. ათ წუთში მთელი ძრავის შეცვლაც კი შეიძლება.

მანქანის ძარა დამზადებულია მინის ბოჭკოსაგან. მანქანა გათვალისწინებულია ქალაქში სასაარულოდ საათში 60 კილომეტრი სიჩქარით და თითქმის მოტოციკლეტის ფასი ეღირება.

საინტერესო სიახლენი

აეროდრომი... ტუბებში

ერთ-ერთმა ამერიკულმა ფირმამ დაამუშავა ახალი მეთოდი, რომლის მიხედვითაც ძალიან მოკლე დროში შესაძლებელია ვერტმფრინავის დასაჯდომი მოედნის მოწყობა სუფთ გრუნტზე. მაგალითად ჭაობზე. ეს უბრალოდ ხდება — ჭაობის ზედაპირზე სპეციალური ტუბებიდან ასხამენ თხევად პლასტიკურ მასას. იგი თანაბრად ეფინება ზედაპირს, სწრაფად მაგრდება, და დასაჯდომი მოედანიც მზად არის ვერტმფრინავების მისაღებად.

პარაშუტი ნავზე

ცნობილმა ფრანგმა მფრინავმა და გამომგონებელმა პიერ ლემონიემ დაამზადა პარაშუტის ტიპის აფრა. ასეთი აფრა ჩვეულებრივთან შედარებით ნავის სიჩქარეს 20 პროცენტით ზრდის.

მანქანას რემონტი არ სჭირდება

მსუბუქი ავტომანქანების ცნობილმა ინგლისელმა კონსტრუქტორმა ჯონ უესტმა დაიწყო გამოცდა ხუთადგილიანი ავტომანქანისა, რომელსაც რემონტი არ სჭირდება. იგი აწყობილია ისე, რომ ნებისმიერი ნაწილი ან მთელი კვანძი ოოლად გამოიღება და ასევე ოოლად იცვლება. ათ წუთში მთელი ძრავის შეცვლაც კი შეიძლება.

მანქანის ძარა დამზადებულია მინის ბოჭკოსაგან. მანქანა გათვალისწინებულია ქალაქში სასაარულოდ საათში 60 კილომეტრი სიჩქარით და თითქმის მოტოციკლეტის ფასი ეღირება.

25 წლის შემდეგ

... ...

... ...

... ...

... ...

... ...

... ...

... ...

... ...

... ...

... ...

##